სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01.05.04/229

ქ. თბილისი 5 სექტემბერი 2018

ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორის 400 საათიანი აკადემიური დატვირთვით) თანამდებობაზე კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის,ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დეკანის, პროფ. ზ. წვერაიძის მოხსენებითი ბარათისა 03-09/18 №01-09-33/4598და აკადემიური საბჭოს 2018 წლის 5 სექტემბრის № 01-05-02/18 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:**

1. გამოცხადდეს კონკურსი ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე 400 საათიანი დატვირთვით შემდეგ საგანთა ჯგუფზე:

სამაგისტრო კურსები, ინგლ.	
EET34608E1-LP	Clinical Engineering
EET34708E1-LP	Biomaterials
EET31208E2-LS	Rehabilitation Engineering
საბაკალაბრო კურსები, ინგლ.	
ETT30308E1-LP	Introduction to Biomedical Engineering
EET38008E1-LP 2	Medical device design
EET30708E1-LP	MRI Tomography
საბაკალავრო, ქართული	
EET36308G1-LP	მასალები სამედიცინო მოწყობილობებისთვის
EET35608G1-LP	რადიოლოგიური აპარატურა

2. დამტკიცდეს საკონკურსო პირობები და კონკურსზე წარსადგენი დოკუმენტების ნუსხა (დანართი 1).
3. დამტკიცდეს დარგობრივი საკონკურსო კომისიის შემადგენლობა (დანართი 2).
4. დამტკიცდეს საკონკურსო დოკუმენტების, აგრეთვე აფილირებისა და შრომითი ხელშეკრულებების ფორმები (დანართი 3).
5. საკონკურსო განცხადებების მიღება დაიწყოს 2018 წლის 06 ოქტომბრიდან და გაგრძელდეს 08 ოქტომბრის ჩათვლით ყოველდღე, 10^{00}-დან 17^{00} საათამდე საკონკურსო კომისიის სამდივნოში.
6. კონკურსი ჩატარდეს 2018 წლის 15-16 ოქტომბერს. კონკურსის პირველადი შედეგები გამოქვეყნდეს არაუგვიანეს 2018 წლის 16 ოქტომბრისა საკონკურსო კომისიის მიერ თვალსაჩინო ადგილზე და უნივერსიტეტის ვებგვერდზე: www.gtu.ge.
7. კონკურსი ჩატარდეს "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის წესდებისა და "აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის შესახებ" დებულების შესაბამისად.
8. საკონკურსო კომისიისმიერ გათვალისწინებული იქნეს: კონკურსანტის კვალიფიკაციისა დაკომპეტენციის შესაბამისობა საკონკურსო თანამდებობასთან, მათ შორის საკონკურსო თანამდებობის პროფილის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი, პრაქტიკული, სასწავლო-მეთოდური და პედაგოგიურისაქმიანობა; სხვა აქტივობები, მიღწევები, კვალიფიკაციები, გამოცდილება და დამსახურება; ასევე (კომისიის გადაწყვეტილებით) კონკურსანტის მიერ ჩატარებული ლექციის ან/და საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსანტთან (კონკურსანტებთან) ჩატარებული ინტერვიუს შედეგები.
9. კონკურსის ჩატარების წესის დარღვევასთან დაკავშირებით საკონკურსო კომისიაში განცხადებების/საჩივრების მიიღება მოხდეს 2018 წლის 19 ოქტომბრის ჩათვლით.
10. კონკურსის შედეგების დამტკიცება აკადემიურ საბჭოში და კონკურსის საბოლოო შედეგების გამოქვეყნდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე (www.gtu.ge) მოხდება 2018 წლის 20 ოქტომბერს, კონკურსში გამარჯვებულ პირებთან აფილირებისა და შრომითი ხელშეკრულებების გაფორმება მოხდება 2018 წლის 21 ოქტომბერს.
11. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ უზრუნველყოს კონკურსის ჩატარებასთან დაკავშირებით საჭირო ორგანიზაციული ღონისძიებების განხორციელება.
12. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 მკ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ნ. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე